



მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისარათა საბჭოს და ეკონომიკური საბჭოს
საქმეთა მმართველობის განყოფილება

1931 წ. აპრილის 16.

№ 5

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სამოქალაქო სამართალი

55. კონფისკებული, ბეითალმანი და უპატონო კონების გამოყენების წესის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი, სოფლის მეურნეობა

56. სამელიორაციო (წყლის) ამბანაგობათა დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სამელიორაციო (წყლის) ამბანაგობათა შესახებ.

57. სოფლის მეურნეობაში და კაპანდივის ტრანსპორტში საწვები ძალის დაყვანა და გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ვაკრობა, მომარაგება

58. ახალი სასურსათო წიგნაკების მისაცემად საქართველოს სსრ ტალკებში მოსახლეობის ხელახალი რეგისტრაციის შესახებ.

კომუნალური და საშინაო მეურნეობა

59. სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა მეშენისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების ტყილინის საქალაქო ელექტრო-კონის გზით შეღავათიანი მიწის შესახებ.

ფინანსები

60. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ათი წლის შესრულების აღმანაშნავად მოსახლეობისათვის გადასახადებისა და სასოფლო-სამეურნეო სესხის სფეროში შეღავათების მიანიჭების შესახებ.

61. სისხლის სამართლის კოდექსის 106 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ქაჩეებზე დადებული ჯარიმებისა და კონფისკებული სგნების გზით მიღებული თანხების განწილების წესის შესახებ.

სახელმწიფო დაზღვევა

62. 1931 წელს აბსოლუტონისა, კენჯუთისა, არაზისისა და სუქას (პერილის) ნათესების მოქსავლობისაგან სადაზღვევლო საგანავეგო დაზღვევის გადასახადის შეტანის ვადების შესახებ.

სოციალურ-კულტურული წყობილება

63. საქართველოს სსრ-ში საყოველთაო სავადგებულო დაწყებითი სწავლების შემოღების წესის თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-7 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

64. „სკოლის ასაკამდე აღზრდის დამატების ცენტრალური შტაბის“ სამდილოების ჩატარების შესახებ.



საქართველოს
საბჭოთაო სოციალისტური
რესპუბლიკის

სისხლის სამართალი

ლების აღსანიშნავად ამნისტიის
შესახებ.

65. სისხლის სამართლის კოდექსისათვის
581^ა მუხლის დამატების შესახებ.

66. სისხლის სამართლის კოდექსისათვის

61^ა მუხლის დამატების შესახებ.

67. სისხლის სამართლის კოდექსისათვის

92^ა მუხლის დამატების შესახებ.

68. სისხლის სამართლის კოდექსის 106,

113, 208 და 209 მუხლების შეცვლის შესახებ.

69. საქართველოში საბჭოთა ზელისუფლებების დამყარების დღიდან ათი წლის შესრუ-

სასამართლოს წყობილება და სამართლის წარმოება

70. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის, 1928 წ. რედაქციის, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების ქვემდებარეობის თაობაზე გამოცემული დადგენილების I-ი კარის მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

სამოქალაქო სამართალი

55. დადგინილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

კონფისკებული, ბეითალმანი და უპატრონო ქონების გამოყენების წესის შესახებ.

„კონფისკებული, ბეითალმანი და უპატრონო ქონების გამოყენების წესის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის თებერვლის 28-ის დადგინილების შესასრულებლად (ა/კფსრ კან. კრ. 1930 წ. 6 №-ი, მუხ. 69) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

1. ბეითალმანად და უპატრონოდ ცნობილ ქონებიდან კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციებს გადაეცემათ შემდეგი სახის ქონება:

ა) სამომხმარებლო კოოპერაციას: 1) სამომხმარებლო საზოგადოებათა წევრების მიერ საპაიოდ (სავალდებულო და ნებაყოფლობითი) შეტანილი თანხები; 2) მეპაიეთა მიერ პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საგნების შესასყიდად აფანსად შეტანილი თანხები; 3) საანაბარო თანხები; 4) წევრების მიერ შეტანილი მიზნობრივი თანხები;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას: 1) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციების წევრების მიერ საპაიოდ შეტანილი თანხები; 2) საანაბარო თანხები; 3) წევრებისაგან სესხის წესით მიღებული თანხები; 4) წევრების მიერ შეტანილი მიზნობრივი თანხები; 5) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციებას სპეციალურ კაპიტალებში მეპაიეთა მიერ შეტანილი დასაბრუნებელი თანხები;

გ) საბინაო კოოპერაციას: 1) საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობათა წევრების მიერ საპაიოდ შეტანილი თანხები; 2) ბეითალმანი სადგომის სარგებლობის უფლება;

დ) სარეწაო კოოპერაციას: 1) სარეწაო ამხანაგობებისა და არტელების წევრების მიერ საპაიოდ შეტანილი თანხები; 2) საანაბარო თანხები; 3) წევრებისაგან სესხის წესით მიღებული თანხები; 4) სარეწაო ამხანაგობათა სპეციალურ

კაპიტალებში მეპაიეთა მიერ შეტანილი დასაბრუნებელი თანხები; 5) სარეწაო და სარეწაო-საქრედიტო ამხანაგობისა და არტელში შეტანილი ანაბარები;

ე) საქართველოს სსრ საბჭოთა მწერლების ფედერაციას: 1) გადაუხდელი ჰონორარი; 2) გადაუხდელი სასაბჭოთაო ანარიცხები;

ვ) რევოლუციონერთა დამხმარე საერთაშორისო სსრკ-ის საზოგადოებას: ემიგრანტების ქონება, გარდა იმ ქონებისა, რაც აღნიშნულია „კონფისკებული, ბეითალმანი და უპატრონო ქონების გამოყენების წესის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ და „ი“. პუნქტებში (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 32 №-ი, მუხ. 323 და 1928 წ. 68 №-ი, მუხ. 624);

ზ) სსრკ-ის „თავდაცვა-ავიაციის“ საზოგადოებას: 1) სასროლო, სასპორტო, საავიაციო, საჰაერაოსნო და სამხედრო ქონება; 2) საჭიშოო ქონება (ამ რიცხვში ლაბორატორიები); 3) წინა 1 და 2 პუნქტების შესაფერი წიგნები, ხელთნაწერები, ნახაზები და ფოტოგრაფიები;

შენიშვნა. ამა განყოფილების 1-ლ პუნქტში აღნიშნული ქონება გადაეცემა „თავდაცვა-ავიაციის“ საზოგადოებას კავკასიის წითელდროშიანი არმიის შტაბის თანხმობით, ხოლო მე-2 პუნქტში აღნიშნული — კავკასიის წითელდროშიანი არმიის შტაბისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თანხმობით;

თ) საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს: ის თანხები, რასაც სასამართლო ან მომრიგებელი ორგანოები გადაახდებიან ვისაც ჯერ არს პროფესიონალურ კავშირთა სარჩელებით პროფესიონალურ კავშირთა წევრების სასარგებლოდ;

ი) ინვალიდთა კოოპერატიულ შენაერთებს, სრულიად საქართველოს უსინათლოთა შენაერთს და სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა შენაერთს — ნედლეული და ნახევარფაბრიკატები; ეს ნედლეული და ნახევარფაბრიკატები გადაეცემა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დადგენილებით.

2. საგვარეულო ყოფაცხოვრების ნაშთად დარჩენილ დანაშაულთა საქმეებზე სასამართლოს წესით კონფისკებული ქონების რეალიზაციით მიღებული თანხები ჩაირიცხება: ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სასამართლო ორგანოებში განხილულ საქმეებზე — ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გამაუმჯობესების ღონისძიებათა გასაძლიერებლად მოწყობილ განსაკუთრებულ ფონდებში, ხოლო სხვა ადგილების სასამართლო ორგანოების მიერ განხილულ საქმეებზე — სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის განკარგულებაში იმავე მიზნისთვის მოწყობილ ფონდებში.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული ფონდების მოწყობისა და ხარჯვის წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიასთან შეთანხმებით.

4. დადგენილება ესე არა ვრცელდება იმ კონფისკებულ, ბეთიალმან და უპატრონო ქონებაზე, რომელიც გამოიყენება სპეციალური კანონების თანახმად.

5. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი: 1929 წ. ივნისის 2-ისა „კოლხეტიური და პროფესიონალური ორგანიზაციების განკარგულებაში გადასაცემი ზოგიერთი სახის ბეთიალმანი და უპატრონო ქონების განსაზღვრის შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. მე-16 №-ი, მუხ. 164) და 1930 წ. აპრილის 26-ისა „კონფისკებული, ბეთიალმანი და უპატრონო ქონების გამოყენების წესის შესახებ“ (კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 143) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. ლ. სუხიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. თებერვლის 11.

ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

56. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამელიორაცია (წყლის) ამხანაგობათა დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემოთდევნი დებულება სამელიორაცია (წყლის) ამხანაგობათა შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს 1929 წ. იანვრის 16-ის დებულება სამელიორაცია (წყლის) ამხანაგობათა შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-3 №-ი, მუხ. 24).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. ლ. სუხიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. თებერვლის 11.

ტფილისი.

დებულება

სამელიორაცია (წყლის) ამხანაგობათა შესახებ.

1. სამელიორაცია (წყლის) ამხანაგობა მოეწყობა, რათა შეერთებული ძალით აივოს, საექსპლუატაციოდ გამოიყენოს და წესიერად შეინახოს ახალი ან უკვე არსებული ჰიდრო-ტექნიკური სისტემები, რომელთა დანიშნულებაა მიწის მორწყვა და ამოშრობა, წყლის მიწოდება, მდინარეებისა, არხებისა და ხრამების ნაპირთა გამაგრება და სხვ.

2. ამხანაგობის წევრად შეიძლება იყოს ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელნიც ხმარობენ წყალს საირიგაციო სისტემის ტერიტორიაზე, აგრეთვე ის

მიწის მოსარგებლე, რომლის მიწაზედაც ვრცელდება ჰიდროტექნიკური ნაგებობის სასარგებლო მოქმედება.

შენიშვნა. სამელიორაციო ამხანაგობის წევრად არ შეიძლება იყოს კულაკი და სხვა ისეთი პირი, ვისაც ჩამორთმეული აქვს საბჭოთა საარჩევნო უფლება, ხოლო ამ კატეგორიიდან იმ პირთა გამოკლებით, რომელთა მიღებაც კოოპერაციაში შეიძლება სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 13-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 56 №-ი, მუხ. 597); ამასთანავე ეს პირნი სამელიორაციო ამხანაგობაში მიიღებიან უფლებათა იმ შეზღუდვით, რაც გათვალისწინებულია აღნიშნული საერთო-საკავშირო კანონით.

3. სამელიორაციო ამხანაგობა მოეწყობა ნებაყოფლობითი შეთანხმებით არა ნაკლებ, ვიდრე იმ წყლის მოსარგებლეთა და მიწის მოსარგებლეთა საერთო რიცხვის ნახევრისა, რომელთა მიწებისათვისაც სასარგებლო ან სასარგებლო იქნება უკვე აგებული ან ასაგები ჰიდრო-ტექნიკური სისტემის მოქმედება. აღნიშნული ფიზიკური და იურიდიული პირნი ჩაითვლებიან ამხანაგობის დამფუძნებლებად; დადგენილებას სამელიორაციო ამხანაგობის დაარსების შესახებ — ამ ამხანაგობის წესდებითურთ — დამფუძნებელნი წარუდგენენ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

4. უკეთეს ცნობილ იქნება, რომ განზრახულ ჰიდრო-ტექნიკურ ნაგებობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამა ფო იმ რაიონისათვის, ამ რაიონის წყლის მოსარგებლეთა და მიწის მოსარგებლეთა ერთ-მგებუთედს შეუძლიან საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მეშვეობით, აღძრას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა სათანადო სამელიორაციო ამხანაგობის დაარსების ნებართვის მიცემის შესახებ.

5. სამელიორაციო ამხანაგობის დაარსების დროს აღნიშნული რაიონის დანარჩენი წყლის მოსარგებელნი, და მიწის მოსარგებელნი, რომელთათვისაც სასარგებლოა ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობის მოქმედება, იძულებით ჩარიცხულ იქნებიან ამხანაგობის წევრად და ამ გზით ჩაიბმებიან ამხანაგობის საქმეში.

შენიშვნა. კულაკები და საბჭოთა საარჩევნო უფლება-ჩამორთმეული პირნი ამხანაგობის წევრებად არ ჩაირიცხებიან, ხოლო, რაკი გამოიყენებენ ჰიდრო-ტექნიკური სისტემის სარგებლობას, ისინი ეწვევიან ამა დებულების მე-10 მუხლით გათვალისწინებულ მოვალეობას და მონაწილეობას იღებენ იმ ხარჯებში, რაც დაკავშირებულია წყალსამეურნეო მშენებლობისათვის გაცემულ სესხთა დაფარვასთან.

6. სამელიორაციო ამხანაგობა მოქმედობს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანელობით როგორც ორგანიზაციულ, ისე ფინანსიურ და ტექნიკურ დარგებში.

7. ჰიდრო-ტექნიკურ მუშაობას აწარმოებს ან საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს აპარატი ან თვით სამელიორაციო ამხანაგობა აღნიშნული სამმართველოს თანხმობით და მისი უშუალო ტექნიკური ზედამხედველობით.

8. ამხანაგობის მიერ განსახორციელებელი მშენებლობისათვის მის ეძლევა საპეციალური კრედიტი სახელმწიფო წყალსამეურნეო სასესხო ფონდიდან თანახმად ამ ფონდის დებულებისა და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ დამტკიცებული მშენებლობის გეგმისა.

9. სამელიორაციო ამხანაგობა ყოველ წელს, სამეურნეო წლის დაწყების წინ, შეადგენს გეგმებს: ა) ჰიდრო-ტეხნიკურ ნაგებობათა რეკონტისა, ბ) ამ ნაგებობათა ექსპლოატაციისა, გ) წყლის გამოყენებისა, დ) ხარჯების ამხანაგობის წევრთა შორის განაწილებისა და ე) სამელიორაციო კრედიტის დაფარვის წესისა; ამ გეგმებს იგი, წყალთა მეურნეობის სარაიონო ორგანოს მეშვეობით, წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

10. სამელიორაციო ამხანაგობა ეწყვეა ყველა საექსპლოატაციო ხარჯს მისთვის გადაცემული სამელიორაციო სისტემისათვის წყლის მოსარგებლეთა და მიწის მოსარგებლეთა თვითდაბეგრით მათი სარწყავი ფართობის პროპორციულად და აგრეთვე იმის მიხედვით, თუ რა სარგებლობას იღებენ ისინი წყალსამეურნეო ნაგებობისაგან; ამასთანავე, მოვალეობათა განაწილების დროს, ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს მეურნეობის ძალოვნება (კლასობრივი პრინციპი) და ღარიბთათვის გასაწევი შეღავათები.

შენიშვნა. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით სამელიორაციო ამხანაგობანი დაიბეგრებიან წყლის გამოსაღებით ამა დადგენილებაში განსაზღვრული წესით და რაოდენობით.

11. ამხანაგობიდან გამოსვლა შეუძლიან მხოლოდ იმ წევრს, რომელმაც დაჰკარგა ამხანაგობის მოქმედების რაიონში მიწის ან წყლის სარგებლობის უფლება.

12. ამხანაგობის გამგეობის სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი აგრონომი და წყალსამეურნეო სისტემის ან სისტემების გამგე; ეს უკანასკნელი ტეხნიკურ საკითხებში ემორჩილება საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს განკარგულებებს.

შენიშვნა. წყალსამეურნეო სისტემის ან სისტემების გამგეს დანიშნავს სამელიორაციო ამხანაგობის გამგეობა და თანამდებობაზე დაამტკიცებს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო.

13. სამელიორაციო ამხანაგობას, მის წესდებაში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად, შეუძლიან თავისი სახელით შეიძინოს ქონება, იკისროს ვალდებულება, ისარჩელოს და პასუხი აგოს სასამართლოში და, საერთოდ, იმოქმედოს ზოგადი კანონების ფარგლებში, როგორც იურიდიულმა პირმა.

14. სამელიორაციო ამხანაგობა ყველა ნაკისრი ვალდებულებისათვის პასუხს აგებს მესამე პირთა წინაშე მთელი თავისი ქონების ფარგლებში.

ამხანაგობის თვითიწევი წევრი პასუხისმგებელია მესამე პირთა წინაშე მთელი თავისი ქონებით არა უმეტეს საპაიო შენატანის რაოდენობისა ერთი-სამად ამხანაგობის ყველა იმ ვალდებულებისათვის, რაც წარმოიშვა როგორც ამხანაგობაში მისი წევრად ყოფნის დროს, ისე ამხანაგობაში შესვლამდეც.

შენიშვნა 1. საპაიო შენატანს განსაზღვრავს თვითიწევი წევრისათვის ამხანაგობის საერთო კრება სარწყავი მიწის ფართობის პროპორციო-

ნალურად ან იმისდამიხედვით, თუ რა სარგებლობას იღებს წევრი ჰიდროტექნიკური ნაგებობის მოქმედებით; ამასთანავე, ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს მეურნეობის ძალოვნება.

შენიშვნა 2. ამხანაგობის ქონებრივი პასუხისმგებლობის ობიექტად არ შეიძლება იქნეს არც ერთი ჰიდროტექნიკური ნაგებობა და არსზე არსებული დანადგარი, აგრეთვე მთელი ის ინვენტარი და შენობები, ურომლისოდაც წყალ-სამეურნეო სისტემა სათანადოდ ვერ იმოქმედებს.

15. ამხანაგობის წევრთა საერთო კრება აწესებს:

ა) სისტემის აგებასა და შენახვაში ამხანაგობის წევრთა მონაწილეობის ფორმას და წესს (შრომით, ფულით, მასალით და სხვ.);

ბ) ამხანაგობის თვითივლი წევრის საპაიო შესატანს;

გ) საპაიო შესატანის რაოდენობის შეცვლას (გადიდება ან შემცირება) და ამხანაგობის წევრთა სხვა ვალდებულებას, რაც არ ეწინააღმდეგება კანონს და რაც საჭიროა ამხანაგობის მახინების მისაღწევად.

16. საერთო ხელმძღვანელობას ამხანაგობას გაუწევს წევრთა საერთო კრება და მის მიერ ამორჩეული გამგეობა. საერთო კრების და გამგეობის უფლება-მოვალეობა გაითვალისწინება სამელიორაციო ამხანაგობის წესდებით.

17. უკეთეს წყლის მოსარგებლეს და მიწის მოსარგებლეს თავს აარიდებს თავის მოვალეობათა შესრულებას, რაც-კი მის ზედრ გადასახდელთა შეტანას შეეხება, სამელიორაციო ამხანაგობის გამგეობას უფლება აქვს გადაახდევინოს მას ნარჩენი მე-18 მუხლში აღნიშნული წესით; ხოლო, უკეთეს შემოსხენებულ პირნი თავს აარიდებენ გამგეობის დადგენილებით წარმოებულ საერთო მუშაობას, ამხანაგობის გამგეობას შეუძლიან იმ სამუშაოს შესასრულებლად, რაც-კი თავარიდებულ პირს უნდა გაეკეთებინა, დაიქირაოს მუშა-ძალა და ამით გამოწვეული ხარჯი გადაახდევინოს მას იმავე წესით.

18. მე-17 მუხლში აღნიშნული თანხების გადახდევინება სწარმოებს უდავო წესით ამხანაგობის დადგენილებისამებრ სათანადო სასოფლო საბჭოს მეშვეობით „გადასახადთა გადახდევინების დებულების“ წესების თანახმად.

19. თავისი მოქმედებისათვის სამელიორაციო ამხანაგობა იხელმძღვანელებს არსებულ კანონებს, ანა დებულებას და თავის წესდებას.

20. სამელიორაციო ამხანაგობის ლიკვიდაცია მოხდება: ა) ყველა მისი წევრის მიერ ერთხმად მიღებული და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ დამტკიცებული გადაწყვეტილებით; ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით; გ) უკეთეს ამხანაგობა, ერთი წლის განმავლობაში დაარსების დღიდან, არ შეუდგება მისი წესდებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებას და დ) წესდებით გათვალისწინებული მიზნების საბოლოოდ განხორციელების შემდეგ.

21. ამხანაგობას აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდების წარწერით.

22. სამელიორაციო ამხანაგობათა ტიპურ წესდებებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო.

23. სამელიორაციო ამხანაგობის წესდება, რომელიც შეესაბამება ტიპურ წესდებას, უნდა დაარეგისტროს სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტმა, ამხა-



ნაგობის სამყოფელი ადგილის მიხედვით; ამასთანავე, რეგისტრაციაში გატარებული წესდების ასლი, ერთი კვირის ვადაზე რეგისტრაციის დღიდან, გაეგზავნება საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

გამოქვეყნებულია გახ. „კომუნისტის“ 66 და 68 №№-ში 1931 წ. მარტის 22 და 25.

57. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სოფლის მეურნეობაში და ჰაპანზიდვის ტრანსპორტში საწვეი ძალის დაცვისა და გამრავლებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

სოფლის მეურნეობაში და ჰაპანზიდვის ტრანსპორტში საწვეი ძალის დაცვისა და გამრავლებისათვის—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო, იღებენ რა სახელმძღვანელოდ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 26-ის დადგენილებას (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-2 №-ი, მუხ. 22), ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს დაუყოვნებლივ ჩაატარონ, სასოფლო საბჭოებისა და ზოორწმუნებულების მეშვეობით, სოფლის ღარიბ და საშუალო კლასთა მასებში,—განსაკუთრებით სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლონიების მოქმედების რაიონებში,—უარათო ახსნა-განმარტებითი კამპანია იმის თაობაზე, რომ ცოცხალი საწვეი ძალა (ცხენი, ხარი, კამეჩი) სოფლის მეურნეობაში არა ჰკარგავს თავის მნიშვნელობას ტრაქტორების გამოყენების დროსაც; ამასთანავე, კოლექტიურ მეურნეობათა წევრებს უნდა გააცნონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის დასადები სანიმუშო ხელშეკრულების წესები, რომლის მიხედვითაც კოლექტიურ მეურნეობათ ეკრძალებათ ცოცხალი საწვეი ძალის გაყიდვა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ადმინისტრაციის თანხმობის გარეშე.

2. კატეგორიულად აიკრძალოს ჰაპანზიდვის შრომის ბეგარის შეფარდება (სასყიდლით თუ უსასყიდლოდ) ყველა შემთხვევაში, გარდა ისეთისა, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა დავალებათა შესრულებასთან ტყის დამზადებისა, პურეულის დამზადებისა, ბამბის დამზადებისა, საგზაო მშენებლობისა და სამხედრო უწყების საჭიროებათა სფეროში, აგრეთვე რაც დაკავშირებულია წყალდიდობასა და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებასთან.

3. ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ შემთხვევებში ჰაპანზიდვის შრომის ბეგარა შეფარდებულ უნდა იქნეს შემდეგი პირობების აუცილებლად დაცვით:

ა) მთელი სამუშაო დღის განმავლობაში გასავალი მანძილი არ უნდა აღემატებოდეს: ცხენით საწვეი ტრანსპორტისათვის—25—30 კილომეტრს, ხოლო ხარით თუ კამეჩით საწვეი ტრანსპორტისათვის—15—20 კილომეტრს;

ბ) სატრანსპორტო საშუალებათა დატვირთვა (ურმისა, საზიდავისა (პოვოზა), დროვისა და სხვ.) არ უნდა აღემატებოდეს—1—1,5 ტონას ორცხენიან საბამზე და 0,75—1,25 ტონას თითოეულ ხარსა და კამეჩზე;

გ) ჰაპანზიდვის შრომის ბეგარისათვის ყოველგვარი საწვეი ძალისხმევა აღიარებულია 12 სამუშაო დღეზე მეტი ხნით არ შეიძლება;

დ) სასაიდლიანი ჰაპანზიდვის ბეგარის წესით შესრულებული სამუშაოს ანგარიში გასწორებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ, სამუშაოს დამთავრებისთანავე, მთლად იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიაც სატრანსპორტო საშუალება გამოყენებულ იქნა ბეგარზე.

შენიშვნა. ამა მუხლის „გ“ პუნქტი არა ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც საწვეი ძალა გამოიყენება შრომის საგზაო ბეგარის დებულების წესისამებრ (ა/კფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 147), აგრეთვე ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ჰაპანზიდვის ბეგარა შეფარდებულია წყალდიდობისა და მისი შედეგების საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებისათვის, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 10-ის დადგენილების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 24 №-ი, მუხ. 340); ასეთ შემთხვევებში საწვეი ძალის გამოყენება შეიძლება, აღნიშნული კანონების დაკვეთით, ამა მუხლის „გ“ პუნქტში დადგენილი საერთო წლიური ფარგლების გადაცილებითაც.

4. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანიის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამ რესპუბლიკების და ოლქის ტერიტორიაზე ამა დადგენილებაში აღნიშნული ღონისძიებანი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ხ. თოდრაია.**

1931 წ. თებერვლის 11.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 37 №-ში 1931 წ. თებერვლის 13.

ვაჭრობა. მომარაგება

58. დადგენილება ს.კ.ს.

ახალი სასურსათო წიგნაკების მისაცემად საქართველოს სსრ ქალაქებში მოსახლეობის ხელახალი რეგისტრაციის შესახებ.

„ახალი სასურსათო წიგნაკების მისაცემად ა/კფსრ-ში ქალაქის მოსახლეობის ხელახალი რეგისტრაციის შესახებ“ გამოცემული ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის თებერვლის 8-ის დადგენილების საფუძველზე—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს ცეკაეშორს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად, ჩაატაროს მოსახლეობის ხელახალი რეგისტრაცია საქართველოს სსრ ქალაქებში, ზოლო ქალაქებს გარეთ იმ მოსახლეობისა, რომელსაც აქვს მომარაგების უფლება საქალაქო ნორმების მიხედვით.

2. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხელახალი რეგისტრაციის (საქმისწარმოების) თვის ხელმძღვანელობის გასაწევად დაარსებულ იქნეს რესპუბლიკანური კომისია ცეკავშირისა (თავმჯდომარე), საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, ტფილისის მუშაკოოპისა და ტფილისის საქალაქო საბჭოს წარმომადგენელთაგან.

3. ადგილობრივ ხელახალი რეგისტრაციისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიურ სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დაუყოვნებლივ მოაწიონ ხელახალი რეგისტრაციის ჩამტარებელი ადგილობრივი კომისიები სათანადო ადგილობრივი დაწესებულებების (მუხ. 2) წარმომადგენელთა შედგენილობით.

4. ხელახალი რეგისტრაციის ოპერაცია და სასურსათო წიგნაკების დამზადება და გაცემა იწარმოებს მიმდინარე წლის მარტის 1-დან აპრილის 1-მდე.

5. ხელახალი რეგისტრაცია უნდა სწარმოებდეს ცენტროკავშირისა და სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და მოსახლეობის ხელახალი რეგისტრაციის ამიერკავკასიის კომისიის ინსტრუქციებით დადგენილ საფუძველზე.

6. რათა უზრუნველყოფილ იქნეს ხელახალი რეგისტრაციის სათანადოდ ჩატარება და მთლად მოცულ იქნეს მფასმარაგებელი მოსახლეობა:

ა) დაევალოს საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს სათანადო მდგომარეობაში მოიყვანონ, მუშათა საზოგადოებრივობის მონაწილეობით, სახლის დაეთრები არა უგვიანეს თებერვლის 23-ისა;

ბ) დაევალოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მათი ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობით, და აგრეთვე კერძო პირთ, რომელნიც დაქირავებულ შრომას იყენებენ, სათანადო მდგომარეობაში მოიყვანონ თებერვლის 23-სათვის მათ მიერ დაქირავებულ პირთა ანგარიშგასწორების წიგნაკები;

გ) დაეკისროს ყველა მშრომელს მოაწესრიგოს სათანადო დოკუმენტები, რაც საჭიროა მომარაგების უფლების დასამტკიცებლად, და წარადგინოს ეს დოკუმენტები რეგისტრაციის დროს.

7. ხელახალი რეგისტრაციის დროს:

ა) მუშა-მოსამსახურენი წარადგენენ ანგარიშგასწორების წიგნაკს, რომელშიაც ჩაწერილ უნდა იქნეს რეგისტრაციის წინ უკანასკნელი თვის განმავლობაში მიღებული სამუშაო ხელფასი და აუცილებლად უნდა აღინიშნოს უკანასკნელი თანამდებობა და მუშაობის ადგილი და აგრეთვე მათ რჩენაზე მყოფი პირნი ამ უკანასკნელთა ასაკის ჩვენებით; აგრეთვე წარადგენენ პროფკავშირის წიგნაკს (კავშირის წევრები) და კოოპერატიულ წიგნაკს სამომხმარებლო კოოპერაციის წევრები;

ბ) დანარჩენი მოსახლეობა წარადგენს სათანადო დოკუმენტებს, რომლითაც უდავოდ დამტკიცდება ამ მოსახლეობის მოსაქმეობა ან არსებობის წყარო, აგრეთვე პროფკავშირისა და კოოპერატიულ წიგნაკს, უკეთეს ასეთი არის.

8. კერძო სახლებში მცხოვრები მოსახლეობის რეგისტრაცია მოხდება სა-
მეუღლების ჩამოვლით; სამეუღლების შედგენილობაში შედიან სამომხმარებლო კო-
ოპერაციისა, მუშათა საზოგადოებრივობისა და საქალაქო საბჭოს წარმომადგე-
ნენი; ამასთანავე სახლის მფლობელი თან უნდა ახლდეს სამეუღლს ჩამოვლის
დროს და იგი პასუხისმგებელია მისი სახლის სიის სისწორისათვის.

9. განსაზოგადოებული სექტორის სახლებში (საბინაო-საიჯარო კოოპერა-
ტიული ამხანაგობის გამგებლობაში ქონებული სახლი, მუნიციპალური სახლი,
საქარხნო-საფაბრიკო საწარმოოს კუთვნილი სახლი და სხვ.) მცხოვრებ პირთა
რეგისტრაციას მოახდენს სათანადო სახლის სამოურაო, სია ასეთი სახლებისა-
თვის შესდგება ორ ცალად.

რეგისტრაციის საწარმოებლად ამ კატეგორიის სახლმფლობელობაში უკა-
ნასწავლი გამოპყოს პერსონალურად დანიშნულ პასუხისმგებელ პირს.

10. კოლექტიურ მომარაგებაზე მყოფი პირებისათვის (პატიმარი საპა-
ტიმრო ადგილას, ავადმყოფნი საავადმყოფოში, ბავშვები საბავშო სახლში) სია
არ შესდგება; სიის სამაგიერო ამ შემთხვევაში იქნება აღნიშნულ დაწესებულე-
ბათა ადმინისტრაციის ცნობა იმ პირთა შესახებ, რომელნიც მარტის 1-სათვის
ამ დაწესებულებებში არიან.

11. ნება დაერთოს რესპუბლიკანურ კომისიას და ადგილობრივ ხელახალი
რეგისტრაციის საქმის ხელმძღვანელებს მოახდინონ სარეგისტრატორო და სა-
ინსტრუქტორო პერსონალის მობილიზაცია დაწესებულებების მოსამსახურეთა
(უმთავრესად სტატისტიკის დარგში მომუშავეთა) და მოსწავლეთაგან.

12. ხელახალი რეგისტრაციის სამუშაოს შესასრულებლად მობილიზებულ
სარეგისტრატორო და საინსტრუქტორო პერსონალს გაანთავისუფლებს თავისი
დაწესებულების ადმინისტრაცია ორი საათით აღრე დაწესებულებაში მუშაობის
გათავებამდე რეგისტრაციის მთელი დროის განმავლობაში და სამი დღით აღრე
რეგისტრაციის დაწყებამდე, ე. ი. თებერვლინ 26-დან.

13. რათა მოსახლეობა მთლად მოცულ იქნეს რეგისტრაციით და რათა
მშრომელებს რეგისტრაცია გაუადვილდეს, მოსახლეობის ჩამოვლა და სიების
შედგენა უნდა სწარმოებდეს საღამოს 3 საათიდან 9 საათამდე.

14. წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგა-
დოებრივ დაწესებულებას და ორგანიზაციას ყოველგვარი დახმარება აღმოუ-
ჩინონ სამომხმარებლო კოოპერაციისა და სახელმწიფო საგვემო. კომისიის ორ-
განოებს რეგისტრაციის ჩატარების საქმეში.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ა. ანთაძე.

1931 წ. თებერვლის 11.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-40 №-ში 1931 წ. თებერვლის 17.



კომუნალური და საბინაო მეურნეობა

59. დადგენილება ს.კ.ს.

სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოოა მუშებისა და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების ტფილისის საქალაქო ელექტრო-რკინის გზით შეღავათიანი მიმოსვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ქალაქ ტფილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა იმ მუშებს, რომელნიც სამუშაო ხელფასს 200 მან. მეტს არ იღებენ თვეში, და აგრეთვე ქალ. ტფილისის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს მიეცეს უფლება შეღავათიანი მიმოსვლისა ტფილისის ელექტრო-რკინის გზით (ტრამვაით) ამა დადგენილების ქვემომდევნო მუხლებში აღნიშნულ საფუძველზე.

შენიშვნა. სამსახურში მყოფ სტუდენტებს ამა მუხლში აღნიშნული შეღავათები არ ეძლევათ.

2. ტრამვაის შეღავათიანი ბილეთის მიღების უფლება აქვთ 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთა შორის იმათ, ვინც საწარმოზე თუ სასწავლებელზე 1,5 კილომეტრის და მეტი მანძილის დაშორებით ცხოვრობს.

3. შემოღებულ იქნეს შემდეგი ტარიფი შეღავათიან ბილეთებზე თვეში 48-ჯერ მიმოსვლისათვის:

ა. 1-ლ მუხლში აღნიშნულ მუშებისათვის:

- ა) ერთი საგანაპირო მარშრუტით მიმოსვლისათვის . . . 2 მან. და 40 კაპ.
- ბ) ერთი ცენტრალური მარშრუტით მიმოსვლისათვის . 4 " " 80 "
- გ) ერთი საგანაპირო და ერთი ცენტრალური მარშრუტით მიმოსვლისათვის 7 " " 20 "
- დ) ორი საგანაპირო და ერთი ცენტრალური მარშრუტით და აგრეთვე ორი ცენტრალური მარშრუტით და მეტი მიმოსვლისათვის 9 " " 60 "

ბ. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის:

მარშრუტების რაოდენობის მიუხედავად 2 მან.

4. მე-3 მუხლში აღნიშნული ტრამვაის ბილეთების ღირებულებას მუშები

იხდიან:

როდესაც ბილეთი ღირს	ვისაც სამუშაო ხელფასი თვეში 100 მანეთამდე აქვს	ვისაც სამუშაო ხელფასი თვეში 100 მანეთზე მეტი აქვს—150 მანეთამდე	ვისაც სამუშაო ხელფასი თვეში 150 მან. მეტი აქვს—200 მან-ე
2 მან. და 40 კაპ.	1 მან.	1 მან. და 25 კაპ.	1 მან. და 50 კაპ.
4 " " 80 "	2 "	2 " " 50 "	3 "
7 " " 20 "	2 "	3 " "	3 " " 50 "
9 " " 60 "	2 "	3 " " 50 "	4 .



ბილეთის დანარჩენ ღირებულებას (მე-3 მუხ. „ა“ ლიტ.) გადაიხდის საწარმო, რომელშიაც მუშა მსახურობს.

5. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ბილეთების ფასს იხდიან მე-3 მუხლის „ბ“ ლიტერაში აღნიშნული შეღავათიანი ტარიფით.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის 1931 წ. თებერვლის 1-დან; ამასთანავე ტფილისის საქალაქო ელექტრო-რკინის გზის ღირებულებამ და საწარმოთა ადმინისტრაციამ უნდა მოახდინონ ბილეთების ფასის ანგარიშის გასწორება მე-3 და 4 მუხლებში წესების მიხედვით.

7. მიწნდოს ტფილისის საქალაქო საბჭოს გამოსცეს, შრომის სახალხო კომისარიატთან და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

8. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1931 წ. იანვრის 10-ის დადგენილება „ტფილისის ტრამვაის შეღავათიანი ბილეთების გაცემის წესის შესახებ“ („კომუნისტის“ 1931 წ. მე-11 №-ი) გაუქმებულ იქნეს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ა. ანთაძე.

1931 წ. თებერვლის 11.

ტფილისი.

გამოკვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 39 №-ში 1931 წ. თებერვლის 15.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

60. დადგენილება ც.ა.კ. და ს.ა.ს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად მოსახლეობისათვის გადასახადებისა და სასოფლო-სამეურნეო სესხის ხფეროში შეღავათების მინიჭების შესახებ.

I.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისარიათა საბჭო ადგენენ:

1. მოეხსნათ კოლექტიურ მეურნეობათ და კოლექტიურ მეურნეობათა წევრებს, აგრეთვე ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობათ შემდეგი დავალიანება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სესხისა:

ა) ყველა ვადაგადაცილებული სესხის დავალიანება, სხვათა შორის სათესლე სესხისაც, რაც დაგროვდა 1929 წ. იანვრის 1-დღე, ამ სესხზე დარიცხული პროცენტით და საურავითურთ;

ბ) საურავი სესხის თავის დროზე შეუტანლობისათვის, რაც დარიცხულია 1931 წ. თებერვლის 25-მდე.

2. უფლება მიეცეს კოლექტიურ მეურნეობათა და ღარიბ ინდივიდუალურ მეურნეობათ, რომელთაც მიიღეს სათესლე სესხი 1929 და 1930 წლებში და შესაძლებლობა არა ჰქონდათ დაებრუნებინათ ეს სესხი ნატურად 1931 წლის თებერვლის 25-დღე, დაჰფარონ ამ სესხის დავალიანება ფულად.

3. სასოფლო-სამეურნეო ყველა სესხის იმ დავალიანების დაფარვის ვადა, რაც დაგროვდა 1931 წ. თებერვლის 25-დღე, განეგრძოს 1931 წლის მოსავლის რეალიზაციამდე იმ კოლექტიურ მეურნეობათ, რომელთაც ვერ შესძლეს აღნიშნული დავალიანების დაფარვა ფინანსიურ და სამეურნეო დაბრკოლებათა გამო.

4. ჩამოეწერათ კოლექტიურ მეურნეობათ, კოლექტიურ მეურნეობათა წევრებს და ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობათ 1929 წ. იანვრის 1-თვის დაგროვილი დავალიანება ბამბისა და თამბაქოს ნათესებისათვის გაცემული ავანსებისა, ამ დავალიანებაზე დარიცხული პროცენტით და საურავითურთ.

II.

მოეხსნათ კოლექტიურ მეურნეობათ, კოლექტიურ მეურნეობათა წევრებს და ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობათ:

ა) წყლის გამოსაღების ნარჩენი, რაც დაგროვდა 1930 წ. ოქტომბრის 1-თვის, ყველა დანარიცხით, ჯარიმით და საურავითურთ;

ბ) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენი, რაც დაგროვდა 1930 წ. მაისის 1-დღე, ყველა დანარიცხით, ჯარიმით და საურავითურთ, აგრეთვე მოეხსნათ საურავი ამ გადასახადის შეუტანლობისათვის 1931 წ. თებერვლის 25-დღე;

გ) საძოვრების სარგებლობისათვის გადასახდევინებელი სასყიდლის დავალიანება, რაც დაგროვდა 1931 წ. იანვრის 1-თვის, ყველა დანარიცხებით და საურავითურთ.

III.

მოეხსნათ იმ მშრომელთ, რომელნიც განთავისუფლებულ არიან საშემოსავლო გადასახადისაგან დაუბეგრავი მინიმუმის მიხედვით, შენობის ადგილობრივი გადასახადისა და რენტის დავალიანება, რაც დაგროვდა 1931 წლის იანვრის 1-თვის, ხოლო არა უმეტეს 15 მანეთისა თვითულ ამ გადასახადზე, ყველა დანარიცხით, ჯარიმით და საურავითურთ.

IV.

გაერკლებულ იქნეს ამა დადგენილების მოქმედება მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებითა და ოლქითურთ.

V.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს და გამოაქვეყნოს, 5 დღის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის და ამ ინსტრუქციის ის ნაწილი, რაც უნდა შეეხოს ამა დადგენილების I კარს, შეუთანხმოს სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორას.

სრ. საქ. უ. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ლ. სუხიშვილი.

სრ. საქ. უ. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. თებერვლის 24.

ტფილისი.

61. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სიხსლის სამართლის კოდექსის 106 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე დადებული ჯარიმებისა და კონფისკებული საგნების გაყიდვით მიღებულ თანხების განაწილების წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისარიათა საბჭო ადგენენ:

1. იმ ჯარიმებიდან, რაც დაედებათ სპორტისა და სპორტიანი სასმელებისა, ლუდისა, პორტერისა და ელისა, თამბაქოს ნაკეთობისა, შაქრისა, ჩაისა, პაპიროსის გოლებებისა, სპარფიუჟერო და საკოსმეტიკო ნაკეთობისა, საფუარისა და სანთლის წარმოებისა, შენახვისა და გაყიდვისათვის დადგენილი წესების დამრღვევთ, და იმ თანხებიდან, რაც შემოვა ამ წესების დარღვევისათვის კონფისკებული საგნების გაყიდვით (სიხსლის სამართლის კოდექსის 106 მუხლი), 50 პროცენტი შედის ადგილობრივ სახსარში, ხოლო 50 პროცენტი ეძლევა აღმომჩენთ, განმცხადებელთ და დამკვეთთ. ისეთი თანხა, რაც ერთ მანეთს არ აღემატება, მიიტკევა მთლად ადგილობრივ ბიუჯეტში.

შენიშვნა. ამა მუხლით გათვალისწინებული გასამრჯელო საგადასახადო და სავაჭრო ინსპექციის აგენტებს და აგრეთვე იმ პირებს, ვისაც ეს აგენტები ექვემდებარებიან, არ მიეცემათ, და სათანადო თანხები ჩაირიცხება ადგილობრივ სახსარში.

2. უკეთუ 1-ლ მუხლში აღნიშნულ დარღვევას აღმოაჩენს სასოფლო საბჭოს აგენტი ამ სასოფლო საბჭოს ქვემდებარე ტერიტორიაზე, დადებული ჯარიმისა და კონფისკებული საგნების გაყიდვით მიღებული თანხის 50 პროცენტი, რაც ადგილობრივ სახსარში უნდა შევიდეს, შეიტანება სოფლის ბიუჯეტში.

3. გადახდვინებული ჯარიმა და კონფისკებული საგნების გაყიდვით მიღებული თანხა შეიტანება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ან მისი რწმუნებულების (საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში) დეპოზიტად და განაწილება მათ მიერ ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლის თანახმად.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრა.**

1931 წ. თებერვლის 11

ტილისა.

სახელმწიფო დაზღვევა

62. დადგენილება ს.კ.ს.

1931 წელს აბუსალათინისა, კუნჯუთისა, არახისისა და სუძის (პერილას) ნათესების მოუსავლობისაგან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადის შეტანის ვადების შესახებ.

„1931 წელს აბუსალათინისა, კუნჯუთისა, არახისისა და სუძის (პერილას) ნათესების მოუსავლობისაგან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 6-ის დადგენილების მე-5 მუხლის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 60 №-ი, მუხ. 644) საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო ადგენს:



1. შრომისა და თავდაცვის საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებით სსრკ-ის ტერიტორიაზე 1931 წლისთვის შემოღებული აბუსალათინისა, კუნჯუთისა, არაზისისა და სუძის ნათესების მოსავლიანობისაგან სავალდებულო სავანაკვეთო დაზღვევის გადასახადის შეტანის ვადად საქართველოს სსრ-ის ფარგლებში ყველგან და ყველა კატეგორიის გამომდებელთათვის დაწესებულ იქნეს 1931 წლის მარტის 1-ლი.

2. წინადადება მიეცეს სახელმწიფო დაზღვევის სრულიად საქართველოს სამმართველოს დაუყოვნებლივ აუწყოს კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობათ იმ რაიონების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით სადაც ზემოაღნიშნული კულტურები ითესება, აბუსალათინისა, კუნჯუთისა, არაზისისა და სუძის სავალდებულო სავანაკვეთო დაზღვევის შემოღება, მოსავლიანობისაგან დაზღვევის ნორმები, სადაზღვეულო საზღაურის რაოდენობა და დაზღვევის გადასახადის რაოდენობა—სახელმწიფო ენაზე და ამა თუ იმ რაიონის მოსახლეობის უმეტესობისა და უმცირესობის ენებზე შედგენილი სათანადო განცხადებების გაცვრით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. ა. ანთაძე.

1931 წ. თებერვლის 5.

ტფილისი.

სოციალურ-კულტურული წყობილება

63. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ში საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების წესის თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-7 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„საქართველოს სსრ-ში საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების წესის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 21-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 12 №-ი, მუხ. 170) მე-7 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„7. უკეთეს შშობელი, მეურვე ან სხვა პირი, ვის რჩენასა და მზრუნველობაზედაც ბავშვი იმყოფება, თავს აარიდებს ბავშვის სკოლაში გაგზავნას იმ ადგილას, სადაც ამა დადგენილების ძალით შემოღებულია საყოველთაო სავალდებულო სწავლება, იგი პასუხს აგებს აღმინისტრაციული წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 92¹ მუხლის თანახმად“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. ლ. სუხიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. ოქტომბრის 11.

ტფილისი.

64. დადგენილება ც.ა.კ.

„სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობის ცენტრალური შტაბის“ სამდღოური ჩატარების შესახებ.

„სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობის ცენტრალური შტაბის“ მატერიალური სახსარის გაძლიერების და მისი იდეებისა და მიზნების პოპულარიზაციისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს ტფილისის ქალაქის საბჭოს სახალხო განათლების განყოფილებას მოაწყოს ზემოხსენებული ორგანიზაციის მატერიალური სახსრის გაძლიერების მიზნით ქ. ტფილისში სამდღიური 1931 წ. მარტის 8—10 ამა დადგენილების ქვემოაღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებულ საუფუძველზე.

2. აღნიშნული ვადის (8—10 მარტის) განმავლობაში ნება დაერთოს:

ა) შეავრთოს ყულაბებით ნებაყოფლობით გამოსაღები ყველგან ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებების სადგომებში;

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები ორგანიზაციის მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენოს საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრის სადგომები, აგრეთვე რადიო-გადაცემა.

3. შემოღებულ იქნეს სამდღიურის განმავლობაში დაბეგვრის სახით აღნიშნული ორგანიზაციის სასარგებლოდ სპეციალური გამოსაღები ყველა სანახაობა-გასართობზე (თეატრი, კონცერტი, კინო, ცირკი) მიმსვლელისათვის ბილეთის ღირებულების 10% როდენობით.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდებიანებულ იქნეს იმ გამოსაღების ვარაუდზე, რაც დაწესებულია საერთო წესით.

4. ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ განახორციელებს ტფილისის ქალაქის საბჭოს სახალხო განათლების განყოფილება ამ მიზნისათვის მოწყობილი სამდღიურის ჩამტარებელი განსაკუთრებული კომიტეტის მეშვეობით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მ.გ. ლ. ხუბიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. თებერვლის 11.

ტფილისი.

სისხლის სამართალი

65. დადგენილება ც.ა.კ. და ს.ა.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 58¹⁷-გ მუხლის დამატების შესახებ.

„ტრანსპორტის მუშაობის დეზორგანიზაციის გამომწვევ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 23-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ-ის ც. ა. კ-ის „იზვესტია“-ს 1931 წ. 24 №-ი) და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის



დადგენილების მე-2 მუხლისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 58¹⁷-გ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„58¹⁷-გ. ტრანსპორტის მომუშავეთა მიერ შრომის დისციპლინის დარღვევა (მოძრაობის წესების დარღვევა, მოძრაი შედგენილობისა და გზის უზვირო რე-მონტი და სხვ.), უკეთუ ამ დარღვევას მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა მო-ძრაი შედგენილობისა, გზისა და საგზაო ნაგებობათა დაზიანება თუ განადგურ-ება ან აღამიანთა უზედურება, მატარებლებისა და ნაექურქლების არა თავის დროზე გაგზავნა, ცარიელი ვაგონების დაგროვება ვადმოტვირთვის აღვილას, ვაგონებისა და ნაექურქლების მოცდენა და სხვა მოქმედება, რაც იწვევს მთავ-რობის მიერ დასახულ ვადაზიდვათა გეგმის ჩაშლას (მუესრულებლობას) ან საფრ-თხეში ავღებს მოძრაობის წესიერებას და უშიშროებას, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ათ წლამდე.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამ დანაშაულობრივ მოქმედებას აშკარა სა-ბოროტო ხასიათი აქვს, შეეფარდება

სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება, ქონების კონფისკაციით“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. ლ. სუხიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. თებერვლის 11.

ტფილისი.

გამოქვეყნებულა გახ. „კომუნისტს“ 54 №-ში 1931 წ. მარტის 6.

66. დადგენილება ც.ა.კ. და ხ.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 61¹ მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრუ-ლებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 61¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„61¹. საინენერო-სატეხნიკო დარგის მომუშავის მიერ უარის თქმა თავის სპეციალობაში მუშაობისათვის ერთი დაწესებულებიდან თუ საწარმოიდან სხვა დაწესებულებაში თუ საწარმოში გადასვლაზე ან ამ გადასვლისაგან თავის არი-დება, როდესაც ამის შესახებ არსებობს კანონით უფლებამოსილი ორგანოს დადგენილება, გამოიწვევს

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. ლ. სუხიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. თებერვლის 11.

ტფილისი.

67. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 92¹ მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 92¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„92¹. სასჯოლ ასაკის ბავშვის სკოლაში გაგზავნისაგან თავის არიდებმ მშობლისა, მეურვისა და სხვა პირის მიერ, ვის რჩენისა და მზრუნველობაზედაც ეს ბავშვი იმყოფება, იმ ადგილას, სადაც შემოღებულია საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლება, გამოიწვევს ადმინისტრატიული წესით იძულებით მუშაობას სამ თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე.“

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. ლ. სუხიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრაძე.

1931 წ. თებერვლის 11.

ტფილისი.

68. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 106, 113, 208 და 209 მუხლების შეცვლის შესახებ.

„სავადნასახლო რეფორმის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ. კან. კრ. 1930 წ. 46 №-ი, მუხ. 476) და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 106, 113, 208 და 209 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„106. სპირტისა და სპირტიანი სასმელებისა, ლუღისა, პორტერისა და ელისა, თამბაქოს ნაყოფისა, შაქრისა, ჩაისა, პავანროსის გილზებისა, საპარფიუმერო და საკოსმეტიკო ნაყოფისა, საფურცისა და სხათის წარმოებისა, შენახვისა და გაყიდვისათვის დადგენილი წესების დარღვევა გამოიწვევს

პირველად და მეორედ—

ჯარიმას ხუთას მანეთამდე, უკანონოდ გაკეთებული, შენახული და გაყიდული საგნებისა და ამ საგნების ნედლეულისა და წარმოების იარაღის კონფისკაციით;

მესამედ—

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე, ჯარიმით ორსავე შემთხვევაში ათას მანეთამდე, ან და ჯარიმას ათას მანეთამდე, უკანონოდ გაკეთებული, შენახული და გაყიდული საგნებისა და ამ საგნების ნედლეულისა და წარმოების იარაღის კონფისკაციით ყველა შემთხვევაში.“



„113. სივაქროში ოქროს, ვერცხლის და პლატინის დალდაუსმელობის შენახვა და გასაღება გამოიწვევს ჯარიმას ხუთას მანეთამდე, აღმოჩენილი დალდაუსმელები ნაკეთობის კონფისკაციით“.

„208. ვაღამეკში რადიო-სადგურის მოწყობის და ექსპლოატაციის ან სატრანსლაციო გამართლობის დადგმის წესისა და აგრეთვე მათ საკონტროლოდ დადგენილი წესების დარღვევა გამოიწვევს ჯარიმას ხუთას მანეთამდე.“

რადიო-მიმღების დადგმის წესისა და აგრეთვე მის საკონტროლოდ დადგენილი წესების დარღვევა ჯარიმას ოც მანეთამდე.

სატრანსლაციო სადგენთა ქსელში თვითნებისად ჩართვა— ჯარიმას ორმოცდაათ მანეთამდე“.

„209. ერთიანი სახელმწიფო ბაჟ გადასახდელი დოკუმენტებისა და საქმის-წარმოების ქაღალდებისა, აგრეთვე სივაქრო დავთრების შენახვისათვის დადგენილი წესების შეუსრულებლობა, ან ერთიანი სახელმწიფო ბაჟის გამო რვეიზიის მომზდენ თანამდებობის პირთათვის დოკუმენტებისა, ქაღალდებისა და დავთრების-წარუდგენლობა გამოიწვევს—

იძულებით მუშაობას სამ თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. ლ. ხუბიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრაია.

1931 წ. თებერვლის 11.

ტფილისი.

69. დადგენილება ც.ა.ბ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ათი წლის შემდეგ ალხანიშნავად ამნისტიის გამოცემის შესახებ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ათი წლის შემდეგ ალხანიშნავად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I.

ყველა იმ მსჯავრდებულს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება (დახვერტა) და რომლის მიმართ განაჩენი ჯერ კიდევ აღსრულებული არ არის,—იმ პირთა გამოკლებით, რომელნიც მსჯავრდებულ არიან კონტრევოლიუციონური დანაშაულობისათვის (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი, თავი I, კარი I),—ზემო აღნიშნული სოციალური დაცვის ღონისძიება შეეცვალოს ათი წლით თავისუფლების აღკვეთად შრომა-გასწორების ბანაკში სსრკ-ის შორეულ ადგილებში, ქონების კონფისკაციით, უკეთეს ეს კონფისკაცია გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით იმ საზოგადოებრივად საშიში ქმედებისათვის, რისთვისაც ესა თუ ის პირი მსჯავრდებულია.

II.

1. განთავისუფლებულ იქნეს შემდგომ პატიმრობიდან და სოციალური დაცვის სხვა დამატებითი ღონისძიებისაგან, რაც განაჩენით არის გათვალისწინ-



ნებული: ა) ყველა ის მშრომელი, რომელიც მსჯავრდადებულია პირველად და გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე—ამიანად, და ბ) ყველა დანარჩენი, პირველად მსჯავრდადებული პირი, რომელსაც გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ექვს თვემდე—ამიანად.

2. განთავისუფლებულ იქნეს იძულებითი მუშაობისაგან ყველა ის მოქალაქე, რომელსაც გადაეწყვიტა აქვს ეს სოციალური დაცვის ღონისძიება.

3. განთავისუფლებულ იქნეს განდევნისა და გადასახლებისაგან, როგორც სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებისაგან, ყველა ის მშრომელი, რომელიც მსჯავრდადებულია პირველად და რომელმაც მოიხადა ძირითადი სოციალური ღონისძიება.

4. მოეხსნას ყველა მსჯავრდადებულს გადაეწყვიტა პირობითი მსჯავრდება.

5. მოეხსნას უფლების ყოველგვარი აყრა ყველა იმ მშრომელს, რომელიც მსჯავრდადებულია პირველად, უკეთუ მას მოიხადა ძირითადი სოციალური დაცვის ღონისძიება, ან უკეთუ იგი განთავისუფლებულ იქნა ვადადმდე, ან მსჯავრდადებულ იქნა პირობით.

6. მოეხსნას ნასამართლობა იმ მშრომელს, ვინც მსჯავრდადებულია პირველად და მოიხადა ძირითადი სოციალური დაცვის ღონისძიება, ან ვადადმდე, განთავისუფლებულია ან პირობით მსჯავრდადებულს, ან და ვისაც გადაეწყვიტა იძულებითი მუშაობა.

7. მოეხსნას ყველა მშრომელს მასზე დადებული და ჯერ კიდევ გადაუბდეინებული ჯარიმა 100 მანეთამდე—ამიანად.

შენიშვნა. გადასახადისა და გამოსაღების შეუტანლობისათვის ან სავადასახადო კანონების დარღვევისათვის დადებული ჯარიმები მოიხსნება ისეთი რაოდენობით და იმ წესისამებრ, რაც გათვალისწინებულია განსაკუთრებულ დადგენილებით.

8. მოიხსნას ყველა, ჯერ კიდევ შეუსრულებელი გადასახდელი, რაც დადებულია საიდისკოლანო ან საადმინისტრაციო წესით.

III.

ის მშრომელი, რომელმაც მსჯავრდადებულ არიან პირველად და რომელთაც გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ერთ წელიწადზე მეტი ვადით, განთავისუფლებულ იქნენ შემდგომი პატიპობიდან და სოციალური დაცვის სხვა დამატებითი ღონისძიებისაგან, რაც განაწესთან არის დაკავშირებული, უკეთუ მათ მსჯავრი დაეღვად პირველად და მოიხადა განაწენით დამიწული ნახევარი ვადა; ხოლო ისინი, ვისაც ნახევარი ვადა არ მოუხდია, განთავისუფლებულ იქნენ ამ ნახევარი ვადის გასვლის შემდეგ.

ყველა სხვა მოქალაქე, ვისაც მსჯავრი დაეღვა პირველად და გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ექვს თვეზე მეტი ვადით, განთავისუფლებულ იქნეს შემდგომი პატიპობიდან და დამატებითი, განაწენთან დაკავშირებული, სოციალური დაცვის ღონისძიებისაგან, განაწენით დადგენილი ორი მესამედი ვადის მოხდის შემდეგ.

შენიშვნა. ამა მუხლში გათვალისწინებული შეღავათი არ უსპობს მსჯავრდადებულს უფლებას, რომ მას შეეფარდოს, საერთო წესისამებრ, ვადადმდე, პირობითი განთავისუფლება.

IV.

მოიხსნას წარმოება დანაშაულთა, მცირე დანაშაულთა და სამართლის დარღვევათა შესახებ აღძრული ყველა საქმისა, რა სტადიამაც უნდა იყოს იგი,

იმ მოქალაქეთა მიმართ, ვინც პასუხისმგებელია მიცემული ისეთი ქმედობისათვის, რისთვისაც სისხლის სამართლის თუ ადმინისტრაციულ და დისციპლინარულ უმაღლეს სანქციად კანონით დაწესებულია ის სოციალური დაცვის ღონისძიება ან გადასახდელი, რაც საცნებით მოიხსნება ამა დადგენილების მე-II კარის თანახმად.

V.

1. ყველა ზემოაღნიშნული შეთავაზი ვრცელდება ყველა იმ მოქალაქეზე, რომელსაც სოციალური დაცვის ღონისძიება და გადასახდელი დაედვა ან უნდა დაედვას სისხლის სამართლის თუ საადმინისტრაციო და სადისციპლინო წესით ისეთი ქმედობისათვის, რაც ჩადენილია საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1931 წლის თებერვლის 25-მდე, სამხედრო მსახურთა და სამხედრო ტრიბუნალების მიერ მსჯავრდადებულ პირთა გამოკლებით.

შენიშვნა. ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე სისხლის საქმეზე, რაც აღძრულია კერძო ბრალდების წესით.

2. ამა დადგენილების მე-II, III და IV კარის მოქმედება არა ვრცელდება იმ პოლიტიკური პარტიების აქტიურ წევრებზე, რომელნიც ლამობენ სამუშაოზე ხელისუფლების დამხობას, ძირის გამოთხრას ან დასუსტებას, სახელმწიფოებრივ დანაშაულთა ორგანიზატორებზე და ხელმძღვანელებზე, ჯაშუშობისათვის (სისხ. სამართ. კოდ. 58¹ მუხ.), ბანდიტიზმისათვის (სისხლ. სამ. კოდ. 58¹⁷ მუხ.), კვალიფიკური კონტრამანდისათვის (სისხლ. სამ. კოდ. 58²¹ მუხ.), შეიარაღებული ყაჩაღობისათვის (სისხ. სამ. კოდ. 181 მუხ. მე-3 ნაწ.), სისხლის აღების მიზნით მკვლელობისათვის (საჯერაჯერო ყოვალცხოვრების ნაშთად დარჩენილ დანაშაულთა დებულების 1 მუხ.), სიბოროტით ჩადენილი თანამდებობრივი გაულანაგობისათვის (სისხ. სამ. კოდ. 122 მუხ. მე-2 ნაწ.) და სიბოროტით ჩადენილი მექრთამეობისათვის (სისხ. სამ. კოდ. 123 მუხ. მე-2 ნაწ.) მსჯავრდადებულ პირებზე და აგრეთვე რეციდივისტებზე.

3. ამა დადგენილებით გათვალისწინებული განთავისუფლება დანიშნული სოციალური დაცვის ღონისძიებისაგან და გადასახდელისაგან არ ანთავისუფლებს დანაშაულს პირთ სამართლის დარღვევით მიყენებული ზიანისა და ზარალის ანაზღაურებისაგან და აგრეთვე უკანონოდ მონაპოვარის ჩამორთმევისაგან და უკანონოდ მოკრილი, გატაცებული, განადგურებული ან დაზიანებული ტყის ერთჯერადი ღირებულობის გადახდევინებისაგან სისხ. სამ. კოდ. 85 მუხ. მიხედვით (კან. კრ. 1929 წ. მე-16 №-ი, მუხ. 166), ან იმ მიწის ნაკვეთის ჩამორთმევისაგან, რაც გარიგების საგანი იყო, და ამ მიწის ნაკვეთისათვის მიღებული ფულადი თუ ქონებრივი სახალარის ჩამორთმევისაგან სისხ. სამ. კოდ. 88¹ მუხლის მიხედვით (კან. კრ. 1929 წ. 22 №-ი, მუხ. 255).

4. ამა დადგენილების მე-II, III და IV კარით გათვალისწინებული აწინსაღების შეფარდება დაეკისროს:

ა) იმ პირისათვის, ვინც იხდის თავისუფლების აღკვეთას შრომა-გასწორების დაწესებულებაში ან ირიცხება დაუპატიმრებლად იძულებითი მუშაობის გამეგ ორგანოზე, — განსაჯობრებულ კომისიას, რომელიც დაარსდება ამ დაწესებულებისა და ორგანოს სამყოფელ ადგილას სასამართლო ორგანოს, პროკურატურისა და სახელმწიფო პოლიტიკური სამართველოს წარმომადგენელთა შედგენილობით;

ბ) იმ პირისათვის, ვისი საქმეც სწარმოებს სასამართლო დაწესებულებისა და წინასწარი გამოძიების ორგანოში, — სათანადო სასამართლოს და ორგანოს, რომელსაც, სისხლის სამართლის სპროცესო კოდექსის თანახმად, ეკუთვნის უფლება, პროცესის სტადიის მიხედვით, მოსპოს სისხლის სამართლის წესით დევნა;

გ) იმ პირისათვის, ვისი საქმეც სწარმოებდა ან სწარმოებს საადმინისტრაციო დაწესებულებაში, — იმ ორგანოს, რომელმაც გადასწყვიტა გადასახდელი ან რომელიც უფლებამოსილია, კანონის თანახმად, გადასწყვიტოს სოციალური დაცვის სათანადო ღონისძიება და გადასახდელი.

5. საივარი ამნისტიის არა სისწორით შეფარდებაზე ან შეუფარდებლობაზე შეიტანება:

ა) ამა კარის მე-4 მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული კომისიის დადგენილებაზე — სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში და ბ) სხვა შემთხვევაში — არსებული საერთო წესისამებრ.

6. ამა დადგენილების ზემოაღნიშნული მუხლების განხორციელებისათვის თვალყურის დევნება დაეკისროს რესპუბლიკის პროკურორს, რომელსაც წინადადება მიეცეს გამოსცეს, საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან და საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

VI.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების შესაბამისად:

1. განთავისუფლებულ იქნეს საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე მყოფი ნაწილების ყველა სამხედრო მსახური მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სადისციპლინო წესდების თანახმად დადებული გადასახდელისაგან.

2. განთავისუფლებულ იქნეს პატიმრობიდან ყველა ის სამხედრო მსახური და სხვა მშრომელი, რომელსაც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ექვს თვემდე — ამიანად, ან იძულებითი მუშაობა ერთ წლამდე.

3. განთავისუფლებულ იქნეს პატიმრობიდან ყველა ის სამხედრო მსახური და სხვა მშრომელი, რომელსაც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვიდან სამ წლამდე, უკეთეს მას მოზდილი აქვს ტრიბუნალის განაჩენით გადაწყვეტილი ნახევარი ვადა. ის პირი ამ კატეგორიიდან, რომელსაც ჯერ კიდევ არ მოუხდია ნახევარი ვადა, განთავისუფლებულ იქნეს ამ ნახევარი ვადის გათავების შემდეგ.

4. განთავისუფლებულ იქნეს სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებისაგან, სხვათა შორის — მთლად ან ნაწილობრივ უფლებათა აკრისაგან, ყველა სამხედრო მსახური და სხვა მშრომელი, რომელიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის სამხედრო ტრიბუნალის მიერ მსჯავრდებულთა და გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე — ამიანად, ან უფრო მსუბუქი სოციალური დაცვის ღონისძიება, ვიდრე თავისუფლების აღკვეთა.

5. მოსპობილ იქნეს პროცესის ყველა სტადიაში წარმოებული საქმეები იმ დანაშაულთა შესახებ, რაც პირველად ჩადენილია სამხედრო მსახურთა და სხვა მშრომელთა მიერ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, უკეთეს ეს საქმეები ექვემდებარება სამხედრო ტრიბუნალს, და უკეთეს სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლებით სოციალური დაცვის ღონისძიებად დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ექვს თვემდე — ამიანად, ან იძულებითი მუშაობა ერთ წლამდე.

6. ეს კარი არა ვრცელდება იმ სამხედრო მსახურებზე და სხვა მშრომლებზე, რომელთაც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით გადაეწყვიტათ თავისუფლების აღ-

ვეთა სამ წელიწადზე მეტი ვადით, იმ პოლიტიკური პარტიების და პარტიების აქტიურ წევრებზე, რომელნიც ლამობენ საბჭოთა ხელისუფლების დამბობას, ძირის გამოთბობას ან დასუსტებას, ჯგუფებზე, კონტრბანდისტებზე, ბანდიტებზე, მექრთამეებზე, სიკაღბლის ჩამდენ გამფლანგველებზე, ცეცხლისწამკიდებლებზე, ცხენის ქურდებზე, სექსობრივი ძალადობის ჩამდენებზე, რეცედივისტებზე და აგრეთვე იმ არა-მშრომლებზე, რომელნიც, თუნდაც ისინი მუშათა და გლეხთა წითელი არმიის შედგენილობას არ ეკუთვნოდნენ, მსჯავრდადებულ არიან საშვიდრო ტრიბუნალის მიერ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის.

7. ინსტრუქციას ამა კარის შეფარდებისათვის გამოსცემს კავკასიის წითელდროშაიანი არმიის საშვიდრო პროკურატურა.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. თებერვლის 24.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 47 №-ში 1931 წ. თებერვლის 25.

სასამართლოს წყობილება და სამართლის წარმოება

70. დადგინილება ც.ა.კ. და ს.ა.ს.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის, 1928 წ. რედაქციის, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების ქვემდებარეობის თაობაზე გამოცემული დადგინილებების I-ლი კარის მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

„საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის 1928 წ. რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების ქვემდებარეობის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის აპრილის 11-ის დადგინილების (ქან. კრ. 1928 წ. 11 №-ი, მუხ. 102; 1930 წ. 23 №-ი, მუხ. 327) I კარის მე-2 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგ რედაქციით:

„სახალხო მოსამართლე ერთპიროვნად, სასამართლო ბრძანების წესით, განიხილავს საქმეებს ისეთი კმედობის შესახებ, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 60 მუხლის 1 ნაწილით, 64 და 65 მუხ., 68 მუხლის 3 ნაწილით, 73 მუხლით, 75 მუხლის 1 ნაწილით, 90, 93, 102, 103¹ მუხ., 106 მუხლის 1 ნაწილით, 112, 113, 198 მუხ., 200 მუხლის 1 და 2 ნაწილით, 202 მუხლის 1 ნაწილით, 203, 204, 205, 205¹, 206, 207, 208, 209, 210 და 211 მუხლებით“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მეგ. ლ. სუხიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. თებერვლის 11.

ტფილისი.